

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
გრიგოლ ივანიშვილის 2018 წლის ანგარიში
გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულო (2017-2021)
საკრებულოს წევრები სულ 34

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 26-1=25,

ნაციონალური მოძრაობა – 5

ევროპული საქართველო – 3

აქედან – კაცი 28, ქალი 5

5 კომისია: 1. იურიდიულ საკითხთა კომისია

2. კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

4. ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია

5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

აქედან – კაცი 4, ქალი 1

6 ფრაქცია: 1. "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

2. "ქართული ოცნება-კონსერვატორები"

3. "ქართული ოცნება-მრეწველები"

4. "ქართული ოცნება-მწვანეები"

5. "ევროპული საქართველო"

6. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

აქედან – კაცი 5, ქალი 1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

2017-2018წ.წ საკრებულოს მიერ მიღებულია: 184 განკარგულება, 66 დადგენილება

სულ ჩატარებულია 26 სხდომა, აქედან 11 რიგითი და 15 რიგგარეშე

საკრებულოს მიერ ინიცირებული საკითხები:

"სამოქალაქო ბიუჯეტირება"-პროექტის მიზანი მოქალაქეების ჩართვა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმაში, რაც დემოკრატიული პროცესებისათვის

მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2019 წლისთვის შემოტანილია 26 პროექტი აქედან 19 იქნა

მოწონებული და გათვალისწინებული 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში

წყალტუბოს ინფრასტრუქტურის, საგზაო უსაფრთხოებისა და სახელმწიფო

შესყიდვების მონიტორინგის ჯგუფი

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2019-2020წლების სამოქმედო
გეგმა(20/07/2018)

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის 2019-2020-2021წლების სამოქმედო

გეგმა(28/09/2018) სადაც საუბარია წყალტუბოს საკონცერტო დარბაზი „ივერიის“ სრულ რეაბილიტაციაზე, ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სიონის“ სარეპეტიციო შენობის სრული რეაბილიტაცია, წყალტუბოს სოფლებში კულტურის ცენტრებისა და ბიბლიოთეკების მოწესრიგებასა და რემონტზე, ნიკო ლორთქიფანიძისა და გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმის კაპიტალურ რემონტზე და მთლიან რეაბილიტაციაზე.

საკრებულოს მიერ განხილული და მოწონებული იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები
ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა სხვადასხვა მიმართულების 48 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის 15 პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის მიერ იქნა დაფინანსებული, ჯამური ღირებულებით 4,408,838 ლარი, რაც 800,000 ლარით აღემატება 2017 წლის ჯამურ მოცულობას. ყველა პროექტი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში და ქ. წყალტუბოში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა

2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 33 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 4 მლნ ლარს. განხორციელებული პროექტები მიმართულებების მიხედვით მოიცავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების, დასახლებული უბნების, საცხოვრებელ კორპუსებამდე მისასვლელი გზების, სანიაღვრე არხების, მგზავრთა მოსაცდელების, საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების, სასმელი წყლის და გარე განათების სისტემების მშენებლობის/რეაბილიტაცია/სამუშაოებს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 4 სოფელში დასრულდა და მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები. ბუნებრივი აირი დამატებით ხელმისაწვდომი იქნება 1300-ზე მეტი ოჯახისათვის.

სოფლებში რიონში, ჟონეთში, ზარათში, ოფურჩხეთში, ჯიმასტაროსა და გუმათში დასრულდა მდ. რიონის ნაპირსამაგრი სამუშაოები. პროექტის ღირებულება დაახლოებით 900000 ლარის ფარგლებშია და განახორციელა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა.

2019 წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და მისი შემოგარენის რეაბილიტაციისა და გალამაზების მიმართულებით, მიმდინარე წელს ბიუჯეტში ჩადებული იყო 10 000 ლარი, რომლის მიზნობრიობაც შეადგენს წყალტუბოს ცენტრალური პარკის სივრცითი მოწყობისა და განვითარების კონცეფციის შემუშავებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი და მთავარი საზრუნავია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი და მთავარი საზრუნავია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა 2018

წლის სოციალური პროგრამის დაფინანსება 80 ათასი ლარით გაიზარდა და შეადგინა 880. 0 ლარი.

სოციალურ პაკეტი მოიცავს 29 მსხვილ პროგრამას, აქედან 4 ჩვენი გუნდის მოსვლის შემდეგ დაემატა ესენია:

1. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების დახმარება წელიწადში 200 ლარის ოდენობით.
2. ფსორიაზით დაავადებული პირებისთვის ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში (18-21 წელი), ოჯახური ძალადობის სტატუსის მქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით. წელიწადში 1440 ლარი.
4. მარჩენალდაკარგული, უგზოუკვლოდ დაკარგული და ხანგრძლივ პატიმრობაში მყოფი მშობლების სტუდენტი შვილებისთვის სწავლის საფასურის 50 %-იანი დაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა.
გაიზარდა თირკმლის ჩანაცვლების თერაპიაზე, ჰემოდიალიზზე და პერიტონიულ დიალიზზე მყოფი პირების დაფინანსება 1200 ლარიდან 1800 ლარამდე.
დიდი სამამულო ომის ვეტერანების დახმარების თანხა გაიზარდა 300 ლარამდე;
სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას განესაზღვრა დახმარება- 250 ლარის ოდენობით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

მ/წ 19 დეკემბერს პროექტის „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“ (N4ED) ფარგლებში გამართული საუკეთესო პრაქტიკათა ეროვნული კონფერენცია საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების განხორციელების კუთხით ჩატარებული მნიშვნელოვანი პროექტების თუ პროგრამების, კარგი მაგალითების გაცნობას, გაზიარებასა და წახალისებას ისახავს მიზნად. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ორ ნომინაციაშია გამარჯვებული. მოსახლეობის ჩართულობა და გენდერული თანასწორობის თემატიკა.

2018 წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, ქალთა ასოციაცია“ და „თანხმობა“ თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგები: „ოჯახური ძალადობა“, „გენდერული თანასწორობა“ და „ბულინგი“ და სხვა

ვთანამშრომლობთ შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოსთან და იმერეთის რეგიონის წყალტუბოს პრობაციის ფილიალთან(ტრენინგი პრობაციონერებთან ძალადობა)

მ/წ 15 მაისს თბილისში ჩატარდა პირველი ეროვნული კონფერენცია "გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - გამოწვევები და შესაძლებლობები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ მიერ დამზადდა ბუკლეტები (შემდეგი თემებით: გენდერული საბჭო, საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები, ძალადობა, ბულინგი, რა არის გენდერი და ადრეულ ასაკში ქორწინება)

რიონის ტელევიზიაში გადაცემა დიალოგში მიწვეული იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი გრიგოლ ივანიეშვილი რომელმაც ისაუბრა გენდერული ბიუჯეტირების თემასა და გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018წლის სამოქმედო გეგმაზე.

მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდული ფესტივალი 2018 (ოჯახური ძალადობა, ბულინგი, ადრეულ ასაკში ქორწინება)

2019წლის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ სამოქმედო გეგმა შემუშავდება გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების, ფონდი "სოხუმისა" და გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (Giz) მოწვეული ექსპერტების თანამშრომლობით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შექმნილია საზოგადოებრივი დარბაზი, სადაც ჩვენი ქალაქის საპატიო და ღირსეული ადამიანები არიან გაერთიანებული საზოგადოებრივი დარბაზი

1. კურორტის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის შესახებ.
2. საპატიო წყალტუბოელის წოდებაზე წარსადგენ კანდიდატურათა შესახებ.
3. მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის საქმეში საზოგადოებრივი დარბაზის წევრების ჩართულობა
4. წყალტუბოს მინერალური წყლის უნიკალური სამკურნალო თვისებების უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით შესამუშავებელ და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.
5. საპილოტე პროექტი „ერთად გავალამაზოთ ჩვენი ქალაქი“ თუმცა ეს თემა ვერ დაიძრა მაგრამ იმედი მაქვს მომავალში აქტიურად ჩაერთვებიან ქალაქის მოსახლეობა და ადგილობრივი ბიზნესმენები რათა გაალამაზონ და მოაწესრიგონ თავიანთი ობოექტის შემოგარენი.

საზოგადოებრივი მხარდაჭერის ცენტრი

საზოგადოებრივი მხარდაჭერის ცენტრი დაფუძნდა საინიციატივო ჯგუფის მიერ და მიზნად ისახავს მოქალაქეების გაერთიანებას, რომლებსაც გული შეტკივა ჩვენი

ქალაქის აწმყოსა და მომავალზე ისინი აქტიურად ჩაერთვებიან ქალაქის განვითარებასა და აღორძინებაში. ჩატარდა შეხვედრები:

1. პედაგოგები, ექიმები, ბიზნესმენები, ახალგაზრდები
2. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების თანამშრომლები
3. არასამთავრობო ორგანიზაციები
4. ქალთა მოძრაობის "ანდამატის" შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან
5. ბინათა ამხანაგობის თავმჯდომარეები
6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და ავღანეთში მებრძოლი ვეტერანები

საზოგადოებრივი მხარდაჭერის ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას და იქნება თავშეყრის ადგილი ქალაქის მცხოვრებთათვის

გრიგოლ ივანეიშვილმა როგორც სოფელ წყალტუბოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ასევე გააკეთა ანგარიში თავისი თემის შესახებ

მოსახლეობასთან შეხვედრები

2018 წლის განმავლობაში ხდებოდა მოსახლეობასთან შეხვედრები მუნიციპალიტეტის მაშტაბით.

მაჟორიტარული თემი ქ. წყალტუბო იმერეთის ქუჩა, სოფლები: წყალტუბო, ჩუნეში, ქვილიშორი, მეორე უბანი. გზებისა და სასმელი წყლის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განხორციელება, 500 000 ლარი დაიხარჯა სოფ. ჩუნეშის გაზიფიცირებისათვის, ბეტონის შექმნა და სხვა.